

პარტნიორის გარიცხვა ქართული საკორპორაციო სამართლის მიხედვით

მარიამ გოლიაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლის კერძო ბიზნეს სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნის შესაბამისად

სამართლის სკოლა

კერძო (ბიზნეს) სამართალი

კურსის ხელმძღვანელი : არჩილ ცერცვაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ გოლიაძე

30.06.2019

აბსტრაქტი

ნაშრომის განსახილველ საკითხს წარმოადგენს პარტნიორის გარიცხვა ქართული საკორპორაციო სამართლის მიხედვით. პარტნიორის გარიცხვა წარმოადგენს უკიდურეს საშუალებას რომლის მართლზომიერების წინაპირობაა მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობა. ქართული საკორპორაციო სამართლის მიერ აღნიშნული საკითხი ფაქტობრივად დაურეგულირებელია. კვლევის მთავარ კითხვას წარმოადგენს თუ რა შეიძლება გახდეს საზოგადოების მიერ არასასურველ პარტნიორთა ურთიერთობის შეწყვეტის იძულებითი მექანიზმის გამოყენების ლეგიტიმური საფუძველი და რა ხდება აღნიშნული საფუძვლის სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნევის შემთხვევაში. ამ მიზნით განხილულია როგორც ქართული კანონმდებლობა, ასევე წარმოდგენილია არსებული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი. კვლევის შედეგად დგინდება პარტნიორის გარიცხვასთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხები, რაც გამოწვეულია საკანონმდებლო რეგულაციების სიმცირისა და არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკით. ნაშრომში მოცემული მსჯელობა, უცხოური კანონმდებლობის შედარებითსამართლებრივი ანალიზი და სამეწარმეო ურთიერთობის შესაძლო სამომავლო რეგულაციის განხილვა მკითხველს შესაძლებლობას აძლევს წარმოდგენა შეიქმნას როგორც პარტნიორის გარიცხვასთან დაკავშირებულ სირთულეებზე, ასევე მათი გადალახვის შესაძლო გზებზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პარტნიორის გარიცხვა, უფლების ბოროტად გამოყენება, მნიშვნელოვანი ზიანი, მნიშვნელოვანი საფუძველი, სასამართლო გადაწყვეტილება, კომპენსაცია.

Abstract

The subject of the research is the expulsion of the partner according to the Georgian corporate law. Partner expulsion is an extreme measure, legitimacy of which is determined by presence of substantial grounds. Georgian corporate law practically leaves this issue without legislative regulations. The main question of the research is the legitimate basis for the use of coercive mechanism for termination of the relationship with undesirable partner and what happens if this basis is established by the court. For this purpose, research includes discussion of the Georgian legislation, as well as the presents analysis of existing case law. As a result of the research, the problematic issues related to the expulsion of partner are established, wich is caused by the lack of legislative regulations and courts reluctant attitude towards the issue. Discussion presented in the research, as well as comparative judicial analysis of foreign legislation and possible future regulation of entrepreneurial relations allow the reader to be able to understand aspects of the expulsion of partner as well as possible ways to overcome the obstacles linked to this issue.

Key words: Partner expulsion, abuse of the right, substantial damage, substantial ground,court decision, compensation.